



საბჭოთაო სალიტერატურო ქორნალი

შაბათი, 24 ოქტომბერი. № 43—1915



თევდორე დავითის ძე უორდანი
(წერილი იხ. ამავე ნომერში)

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ზელის-მომწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифლისь Ред. „Театри да Цхошеба“ I. Имедашвил

შასი
10 კ.

24 ოქტომბერი

ამოღის, ამ სიტყვებით შემდგომ-
ნათდება!.. და ვაჟა სინათლეს, სიბნელის
დასატრგუნავად მოფენილს...

ამ სიტყვებითვე უნდა შევეგებნეთ ჩვენი
საზოგადოებრივი სიღუბეებისა და სიბნელის
გამფანტველ ნიშნებს...

გასულ კვირებში ორი თვალსაჩინო ამ-
ბავი მოხდა:

პირველი — მთავრობამ დაამტკიცა წესდება
ქართ. კულტ. საზოგადოებათა კავშირისა, რომ-
ლის წევრობაც შეუძლიან ყველა არსებულ
კულტურულ საზოგადოებას თვისი რწმუნებუ-
ლებით...

მეორე — შესდგა ქართულ საქველმოქმე-
დო საზოგადოების კრება, რომლის შესვეუ-

რგბმაც ათიოდე თვის წინად სულ არარაის-
გან დაიწყეს მოქმედება, მცირე ხნის განმავ-
ლობაში შედარებით დიდი თხნა—ო, ხი ათას
თუწამდე გადაატრიალეს, დღეს სალაროში
ათას თუ ანზე მეტი აქვთ, სამასადე წევრს
შეუყარეს თავი, შვიდი განყოფილება დაარ-
სეს, საქართველოს დამშუღ-გაქირვებულ
ხალხს—განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანთ
—სურსათით თუ სხვაფრივი დ ხმარება აღმო-
უჩინეს და, ბოლოს, ეგვევ საზოგადოება იც-
ნო მთავრობამ მთელი ქართველი ხალხის
მხრუნველ საზოგადოებად... ეს კი იმას ნიშ-
ნავს, რომ, ბოლოს მაინც, ქართველთ შო-
რის ირკვევა ისეთი ძალა, რომელსაც შეუძ-
ლიან ილაპარაკოს და ი აქმოს კიდევ არა
ერთი რომელიმე წოდების, არამედ შეუძლი
ქართველი ხალხის სახელით...

ჩვენ დიდი ხანია ამ მიზნისკენ მოვუწო-
დებით ჩვენი ერის მოქირანხლებთ: არა ერთ-
ხელ აღვივინებავს ჩვენი დაქსაქსულობა და
მით გამოწვეული უძლურება...

ჩვენი ქვეყნის ნიეთიერი და კულტურუ-
ლი სისუსტე იმდენად თვალსაზრისითა, რომ

მთელი საქართველოს მკვიდრთა შეერთებულ,
ერთ გამიზნულ და შეთანხმებულ მუშაობას
მოითხოვს..

დღემდე თუ თითქმის ურთიერთისგან გა-
თიშულნი ვიყავით, დღეს ჩვენი ქვეყნის ყო-
ველი კუთხის შვილთ ნება ეძლევათ, სამშობ-
ლოს საერთო სვე-ბედის მოწესრიგებაში ჩაე-
რივნენ...

ამიტომ საქირია ყველმა კულტურულ-
მა დაწესებულებამ—წ. კ. ს, დამატიულმა,
თუ სხ, სადაც კი არსებობს,—და თუ არ არ-
სებობს, შექმნან,—თვისი რწმუნებულებით
მონიწილეობა მიიღოს ქ. კ. ს. კავშირში თუ
მთავარ საქველმოქმედო საზოგადოებაში და
თავისი მოქმედება მთავარ გამგეობას დაუ-
ქვემდებაროს, რომ მთელი ჩვენი ქვეყნის ზრდა-
განვითარება გაერთიანდეს, საქვეყნო აზრმა
საზოგადო სხეული შეისხას და ერთი მტკიცე,
ძლიერი, ქართველური აზროვნება გამოიკვეროს
და შესაფერი საქირანობაც გაჩაღდეს...

აქა-იქ დაბა-სოფლებში უფე იწყება მუ-
შაობა, უკვე—ამოდის, ნ. თდება!—და მამ
მხნედ, მტკიცედ ბრწყინვალე მომავლისკენ!

თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა

თუთუნს ვახვევ სიფრიფანა
თხელ ქალაღდის სამოსელში
და თან ვმღერი ჩემს ვაებას,
მებჯინება ცრემლი ყელში.

ვმღერო... ვშრომობ. ვშრომობ... ვმღერი.
ვმღერი ცრ მლად დანალექი
და ნელ-ნელა მკლავს და მამხობს
ულმობელი ქლექი... ქლექი...

ველარ ვყნოსავ ჩემი სოფლის
მაცოცხლებელ ყვავილა სუნსა,
ნაცვლად ვხედავ დღით თუ ღამით
აქ თუ უნსა, იქ თუ თუნსა;

აქ თუთუნით სუნთქავს ყველა,
მოიშხამა ყველაფერი,
დამნატრულდა სუფთა სიო
და კამკამა ჰაერფერი.

ჩანაყვითლი სახე ჩემი
ჰგავს ფოთოლსა შემოდგომის!
ვშრომობ! მაგრამ, ეჰ ვინ არის
მადლიერი ჩემის შრომის?!...

და თქვენ... და თქვენ, სვე-მღვიძარო,
როს იკავებთ თუთუნს პირში:
გრძნობთ, რომ იმის მკეთებელი
კვდება ტანჯვა-გასაქირში?!...

თუთუნს ვახვევ სიფრიფანა
თხელ ქალაღდის სამოსელში
და ვიგონებ ჩემს წარსულსა—
მებჯინება ცრემლი ყელში.

მაგონდება სიყმაწვილე,
მაგონდება დედა... მამა...
მყავდა ქმარი, მყავდა შვილი—
ყველა მიწამ შემიქამა;

და ობოლი—ობლად დავრჩი,
უბედურად—უბედური;
ეხლა თუთუნს ვსქრი და ვახვევ,
რომ ვიშოვო ლუქმა პური.

ეხ, ვის ვუთხრა ჩემი დარდი
ფიქრი ვიღას განუმარტო?—
როგორც მარტო გაეჩნდი ქვეყნად
და ჩავედები ისევ მარტო;

ეხ, ვის დავწყვეტ გულს სიკვდილით?
ვინ მიტირებს ოხერ მკვდარსა?
მხოლოდ დარღს კი თან წავიღებ,
დ რღს, ჩემს მუღმივ მეგობარსა.

და თქვენ... და თქვენ, სვე-მღვიძარო,
როს იკავებთ თუთუნს პირში,
გრძნობთ, რომ იმის მკეთებელი
კვდება ტანჯვა-გასაქირში?!...
ი. გრიშაშვილი

იმედის ნანგრევებზე

1.

მივიწყებულ საფლავთ შორის, ჰა ძლივს ვპოვე დედის სამარე.

ველურ ყვავილებს მის საფლავზე უფრქვევიათ ციური ნამი, ქვეწარმავალთ მის გულ მკერდში უპოვიათ თავშესაფარი. დიდხანს ელოდა ცრემლთა ფრქვევით თვის საყვარელ შვილს, და მოლოდინში, მწარე ფიქრებით გარემოცული, აქ ცივ სამარეს ამოფარვია. საპატიმროში სიოს მსუბუქ ფრთებს ხშირად მოქონდა მისი ქვთინი.

ფარულად ვკვრეტდი ვარსკვლავებს, მთვარეს; ვკვრეტდი მზის სხივებს, სიცოცხლის მომცემს. აზაყი სული ქედს არ იხრდა და მე ვფიქრობდი, რომ ერთხელ კიდევ დედის ალერსს ველირსებოდი. ის კი არ არის. მივიწყებულ საფლავთ შორის, ძლივს, ძლივს ვიპოვე მისი სამარე.

2.

მეგობარო! შენ ეს შეილი მის ალერსში შეიძინე? მას შემდეგ, რაც მე ტყვედ ვიყავ, შენ მის გვერდზე ვქონდა ბინა? ნუ თუ ამ რბილ სარეცელზე... და ეს ბავშვი, ასე ნაზად რომ მიცინის, ასე ცქვიტად რომ შემოხტა ჩემს მუხლებზე, პაწა ქუსლებს რომ მიჭირებს და იძახის: „აჩუ, ცხენო!“ ნუ თუ მართლა, ნუ თუ მართლა მის ალერსში შეგეძინა?

დიდხანს ველოდი, დიდხანს ვყავდი ტყვედ ტკბილ ოცნებას. როს ღამით მთვარე სხივს აფრქვევდა ჩემს ბნელ საკანში, იმისი სახე იხატებოდა მღუმარ კედელზე და მე მგონია, რომ იგი ხშირად მოდიოდა საპატიმროში, ევედრებოდა უღმობელ დარაჯთ, მაგრამ ისინი არ უშვებდენ ჩემს სანახავად. ეხლა სად არის? იქნებ წარსული მოაგონდა ჩემს დანახვანზე? იქნებ არ სურს მიხილოს? თუ ასე არის, მითხარი მაღე. მე წვალ შორს, აქ თქვენ შორის რისთვისღა დავრჩე?

3.

გემუდარები! გვეედრები! გადაჰკარ ცხენებს! გამაშორე, ნუ დამანახვებ დავიწყებულ საქმობლოს მთის თხემს. იქ ვეღარ ვპოვე სულის სიმშვიდე, იქ ვეღარ ვპოვე თავშესა-

ფარი. აღარავინ მყავს, ყველა დავკარგე: დედა, სატრფო, მეგობარი. უცხო მხარეში ვავატარებ ჩემს სიყმაწვილეს, ჩემთვის ერთია სადაც უნდა მისწროს სიკვდილმა. სადაც უნდა ჩავესვენო ცივსა სამარეს არვინ მომიტანს ყვავილთ თაიგულს, არვინ დამაფრქვევს ცრემლებს მწუხარეს. ვისთვისაც ბედი მე ვავიმწარე, ვისთვისაც ვრეკდი დაძირულ ზარას, ის მონად ქმნილი მონობას უმღერს, სიცოცხლის მიზნს მსხვერპლად სწირავს ბოროტების ღმერთს.

გემუდარები, გვეედრები გადაჰკარ ცხენებს! სად? სით? ჩემთვის ერთია, ოღონდ კი მაღე, გამაშორე იმედის ნანგრევთ.

მთ. ხომალტნიკი

მ შ ი ა დ ე დ ი ! !

მთელი დღე პაპანაქებაში ნამუშავეარი ტომოთე, საღამოს დაღლილ-დაქანცული, ილაჯ-გაწყვეტილი დაბრუნდა სახლში თოხი იქვე მიაყუდა სახლის კუთხეში, და თვითონ-კი სახლის წინ ჩამოჯდა პატარა ხის სკამზე.

ქალარა თმა და წვერი უშნოდ აბურღენოდა, მზისაგან დამწვარ სახეზე ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა, ტიმოთემ ოფლი მოიწმინდა, ყალიონი გააკეთა და წვევა დაიწყო-

მართამაც, ტიმოთეს ცოლმა, რაკი შენიშნა მოსული ქმარი, თვითონაც გამოვიდა სახლის წინ და იქვე ფეხ-მოკვციით მოღზე ტიმოთეს გვერდში ამოუჯდა.

ორივე დღემიღმა მოიცვა, თითქოს რაღაც გამოურკვეველ ფიქრებს შეებოჭა მათი არსება, თითქოს მეტყველების უნარი დაჰკარგოდათ, სიჩუმის დარღვევას ვერ ახერხებდნენ.

— ანეტა!.. გასძახა ბოლოს ტიმოთემ სახლისკენ. დაძახებისთანავე სახლიდან გამოვიდა, ძველი დახეულის კაბით, თორმეტ-ცამეტი წლის გოგო მას თითქოს სცხვენოდა თავის მშობლების წინაშეც-კი, დახეულ კაბაზე ხელს იფარებდა. ტიმოთემ ვერც-კი შენიშნა ანეტას მოახლოება.

— რას მეძახდი, მამა?

— ერთი, თუ ქალი ხარ, ცივი წყალი დამალევენე.

ანეტამ აიღო კოკა და წავიდა წყლის გამოსატანად.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მართა, ამელამ ხომ არაფერი გვაქვას მამი? იკითხა ისევ ტიმოთემ.

— ქვლი ვერ ვიშოვნეთ სასესებლად, ყველასი გვმართებს თითო ოკა და... რა გვექნება... გულ-დაწყვეტით წარმოსთქვა მართამ და თავი დახარა, თითქოს შერცხვა თავის სიტყვისა.

— მშია დედი!.. დედი მშია... მშია... ტირილით გაიძახის ექვსი წლის ცაცო, სახლის ღვეჯეს მიყრდნობილი. ორთავეს ესმით ცაცოს ტირილი, სიტყვა „მშია“ მათ გულს ულახვრავს.

ტიმოთე უფრო მწარედ აჰყვა მოზღვავებულ ფიქრთ. იმისი მხედველობა ერთ წერტილზე გაიყინა, ყალიონი ხელის გულზე გამობერტყა, და კვლავ ჩაფიქრდა:

— რაა, რა, ჩვენი ცხოვრება?! დღე-ღამეს ვასწორებ, ჩემი ოფლი მიწას ერთვის, და მაინც კუქ-მშიერი უნდა ვიყო ცოლ-შვილით?.. ეჰ, უბედური კაცის ცხოვრებას არა აქვს საშველი... ხაზინა რაღაც დახმარებას გვპირდებოდა, და არც იმან გვადირსა რამე... მარა ჩემისანებს მაინც აფერს მისცემენ... თუ რამე დაურიგეს, კიდევ იმათ მისცემენ — ვისაც არ უჭირს... და თუ გინდა მოგცენ, მერე როცა იქნება, ორ წილად ამოგწვდიან ყელიდან. — ეჰ! — კიდევ ამოიოხრა ტიმოთემ და უფრო ნალვლიანად ჩაქინდრა თავი.

— დღეს ონისიანთ ელენა იყო და ერთი ალიაქოთი დაგვიყენა, ი, რაღაც ორი კაპეიკიხა... რა ვქნა, ხომ იცი, ქმარი ომში მყავს... და მინდა გაუზუხავნო... უხარა მართამ ქმარს და ძვალღებში შეაჩერდა.

— ნუ დაგვახრჩობს ორი კაპეიკიხა ი დალოცვილი, და — რაცხას გავყიდით და მოგართმევთქო!..

სხვა მრავალ ფიქრებს ეხლა ეს საფიქრალიც მიემატა, თუ როგორ იშოვნოს, რა გაყიდოს... საიდან მისცეს?.. და ტიმოთე კიდევ უფრო ჩაფიქრდა.

— ილიკო სადაა, იკითხა ისევ ტიმოთემ.

— ცოტა ხილი გავატანე-დუქანზე გასაყიდათ... და, თუ რამე აიღო, იმის პური დავაბარე იყიდოს...

— დედა მშია!.. კვლავ სტირის ცაცო...

— მოიცა დედი! აგერ ილიკო მოვა და პურს მოგიტანს, აჩუმებს დედა შვილს და გულში იხუტებს...

სდუმან ყველანი... ელიან ილიკოს — პურით, რომ მშიერნი ცოტათი მაინც დააპუროს... ცაცო კი მაინც არ სცხრება და დედას ცრემლით კალთას აგლეჯს.

— მშია დედი!.. მშია!.. კვლავ... გაპკივის ცაცო.

დ. ჭანჭათელი

ქ ა ლ ი

(ლეგენდა ამერიკელი ინდუსებისა)

ერთხელ სამყაროს დამაარსებელმა ვულკანოსმა, სხვათა შორის, განიზრახა ქალის გაჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანის შემადგენელი — ყოველგვარი მასალა უკვე დახარჯოდა კაცის შექმნის ჟამს.

რადგანაც კაცისთვის ამ ქვეყნიურ ცხოვრების სამოძრაოდ უქალობა ერთ უმთავრეს ნაკლთაგანს წარმოადგენდა, ამისათვის ვულკანოსი შეუდგა ქალის გამოკვერას შემდეგი მასალისაგან: შეაგროვა ყოველი სულიერი და უსულო არსი და თითოეულ მათგანს ცოტ-ცოტა აართვა:

მიხვრა-მოხვრა — გველს; ტიკტიკი — კაქ-კაქს; დაუდევრობა — ქარს; მღელვარება — გეჯილს; თრთოლვა — ფოთოლს; სიძაღე — ალვის ხეს; სინაზე — ყვავილს; სიმხიარულე — მხის სხივებს; სიტკობა — თაფლს; თვალადობა — ქურციკს; შემბოჭავი მანქანება — ხლართ ეკალს; ცრემლები — ღრუბელს; მწველი ალი — ცეცხლს და გამაქვავებელი სიცივე — ყინვას.

ყველა ამ ძირითადი ნაწილებისგან ვულკანოსმა შექმნა ქალი და არც გასაკვირალია, რომ ქალი ხშირად გაუგებარი ამოცანაა.

ჭიჭიკო

საზოგადო მოღვაწენი

თევდორე დავითის ძე ჟორდანი

„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომვალისაო“, სთქვა ბრძენმა და თუ ეს უცილობელი ქვეშარიტებაა, ყოველის ღონისძიებით უნდა ვცდილობდეთ ჩვენის წარსულის შესწავლას, წინა თაობის ნამოღვაწევის გაცნობას...

ჩვენი წარსულის ერთი მხნე და ბეჯითი შემსწავლელთაგანია უკვე დამსახურებული მოღვაწე-მწერალი თევდორე დავითის ძე ჟორდანი, რომლის შესახებაც ჩვენს პრესაში ხშირად ატეხილა ალიაქოთი, მაგრამ რომლის სამეცნიერო შრომასა და საენათმეცუველო ცოდნას მუდამ პატივით იხსენიებენ.

განვლილი საუკუნის ქართველობა მოჯადოებულ წრეში მოექცა... შეიქმნა იეთი პირობები, რომ ბევრს გულწრფელ მოღვაწეთაგანს ორ ცეცხლ შუა უნდა ეტრიალნა, რომ ცხოვრების ლელო გაეტანა: შეესრულებინა გარეშე ძალთაგან დაკისრებული მოვალეობა და თვისი სამშობლოს სასიკეთო გულისთქმაც არ ჩაეკლა... ბევრი, ძლიერ ბევრი ქართველი მოექცა ასეთ ორქოფ მდგომარეობაში, მაგრამ ბევრმა-კი ვერ შესძლო ამ მძიმე ბრძოლიდან სასახლოდ გამოსვლა: — ბრძოლა მარჯვნივ და მარცხნივ, სახელმწიფო მოთხოვნილებასა და ეროვნულ მისწრაფებათა შორის გზის გაგნება, სამშობლო ქვეყნის სიყვარულის, თვისი სიიღუმლო იდეალის შენარჩუნება ძლიერ ცოტამ შესძლო...

ერთი ამთაგანია ზემო ხსენებული თევდორე დავითის ძე ჟორდანიც, რომელიც აგერ მან წელზე მეტია, რაც დაულალავად მოღვაწეობს სამსწავლებლო, სამეცნიერო-საისტორიო თუ სამწერლო ასპარეზზე.

თ. ჟორდანი დაიბადა 1854 წ. 20 აპრ. დედა სიყმაწვილემივე გარდაეცვალა, მამა-კი ბერად შესდგა და აფხაზეუს გამწესდა მისიონერად, რის გამოც პატარა თედორე იზრდებოდა ჯერ თვის ძიძის, მერე მამიდის სახლში და ბავშობიდანვე შეუყვარდა ქართული ხალხურ-ეროვნული კულტურა.

სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში, რომლის გათავების შემდეგ, როგორც საუკეთესო მოწაფე, მთავრობის ხარჯით გაიგზავნა სასულიერო აკადემიაში, რომელიც ჩინებულად დაასრულა 1879 წ. ამავე წლის ენკენისთვეში გაამწესეს მასწავლებლად თბ. სას. სასწავლებელში; სამღვდლოების კრებამ მალე ამ სასწავლებლის ზედამხედველად აარჩია (სამღვდლოებას მაშინ ეს უფლება ჰქონდა). შემდეგ გადავიდა სემინარიაში, საცა 1896 წ-დე დაჰყო. სემინარიაში მასწავლებლობის დროს ღრმა კვალიც დააჩნია: მისი მეცადინეობით დაარსდა საშტატო კათედრა ქართული ენისა და ისტორიისა, რომელიც თავიდანვე ეჭირა. მისი მოწაფენი იყვნენ: ლეონიდე, დავით და ანტონ ეპისკოპოსნი, ნოე ჟორდანი, თ. სახოკია, იპ. ვართაგავა, ს. გორგაძე, მ. კორ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, მ. კელენჯერიძე, გ. იმნაიშვილი და სხ. სემინარიაში მასწავლებლობის დროსვე შეადგინა ქართული ენის გრამატიკა (1889 წ.), რომელიც დღესაც ერთ საყუარდებო სახელმძღვანელოდ ითვლება. 1896 წ. ჯერ გურიის სამეგრელოს, ხოლო შემდეგ (1904 წ.) იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ გაამწესეს, სადაც ქართული ენის სწავლება გაჩაღა, თუმცა სდევნიდენ კიდევ და სამსახურიც 1911 წ. იძულებით დასტოვა (სხვათა შორის, უსაყვედურეს — „რუსული ენა ცუდათ ისწავლებოა“). ბოლოს პიტირიმ ექსარხოსმა ეპისკოპოსობა შესთავაზა, მაგრამ არ იქისრა და ამ ჟამად გორში ცხოვრობს, სამეცნიერო შრომით გართული.

მრავალ საგაზეთო წერილის გარდა, დაწერილი აქვს რუსულად: 1) Святѣйшій Синодъ при Петрѣ Великомъ (1884 წ.); Философiя Платона (188 წ.). ქართულად შეადგინა — კატალოგი საეკლესიო და წ. კ. ს. მუზეუმებისა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები და სხვანი, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილია, როგორც ქრონიკების შემკრებ-გამომცემელი... და მათლაც, თუ გვსურს ჩვენი წარსულის შესწავლა მეტიც ისტორიულ-მეცნიერულ საბუთებზე იყოს დამყარებული, — უპირველეს ყოვლისა საჭი-

როა შეიკრიბოს ყველა ის ძველის ძველი საბუთი, ხელქმნილი ძეგლი, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია მზავლად განთავსებული. ქრონიკებისა მხოლოდ ორი დიდი წიგნია გამოცემული (1897 წ.), მესამე წიგნი კი გამომცემელს ელის. ბოლო ხანებში დაწერა „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე“ და „არაბების შემოსევა საქართველოში მე-VIII საუკუნეში“. იგი ცნობილია პრაქტიკულ მოღვაწეობითაც: აგროვებდა ქართულ კულტურის ნაშთებს (დადიოდა, მოწაფეებს აგროვებინებდა), შეადგინა ფირფიტების კოლექცია, ერთერთი დამაარსებელია ქართ. გიმნაზიის სასკოლო საზოგადოებისა, საეკლესიო მუზეუმისა და სხ.

თ. დ. ჟორდანიას ჯერ კიდევ ჯანდონით მრთელია და ქაბუჯურის გატაცებით ემსახურება სამშობლო ისტორიის კვლევა-ძიებას, ვითარცა ერთი საუკეთესო მკოდნეთაგანი ქართული საერო და საეკლესიო ისტორიისა...

იოსებ არიმათიელი

მეცნიერები

კნუტ შამსუნი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 42)

შემოქმედისთვის ძვირფასია როგორც ცისკარი ჩვენი სულისა, ისე მისი მწიგნობარი.

სულ ერთია, იგი მარმარილოდან გამოქვეყნის მიქელ ანჯელოსაგან რამდენიმე ცნობად სხეს, რამდენად გაღვივებდა კი შეუძლია, როცა მის შემოქმედი უბრალებს.

ან არა და ფერთა ქაღალთი გამოაქრებდნენ რომელიმე მონა დიზანს ავთაგორივ დიდი.

ან არა და მომავლად აღამაზის სიტყვებით უკვდავ ლექსს შექმნის და „Über allen Gipfeln ist Ruh.“*).

ათინაში ერთი კანონი იყო, რომლის ძალით მხატვრებს ნება არ ჰქონდათ სიმასინჯე ხელოვნების სავსად გაეხადათ. — მაგრამ ეს უბრალო აღამაზური მოსაზრება ხელფანისთვის არ არსებობს.

ერთმა ცნობილმა ბერძენმა ეპიგრაფისტმა იოსებმა ერთ უმტკანო, მახინჯ აღამაზზე:

„ფინ დაგხატავს შენ, როცა შენი შემოსევა ანავის უნდა.“

რამდენიმე თანამედროვე ფრანც შტუკი-კი ეტეოდა იმავე მასინჯეს: იუფ უხამსი, უმთა სხამსი, შე მაინც გადაგხატავ. დეე, ნურაფან შემოგხატავს, შე გხატავ იმდენად კი არა, რამდენად იგი შენი ხატება, ანამედ რამდენად იგი ჩემი ხელოვნების დამაშტატიკებელია**).

სელფანისთვის ძვირფასია, როგორც სიმ-შუენიერე, ისე სიმასინჯეც

ჭამსუნისთვის მახლობელია როგორც მინუტა ისე ხაღვლიც.

იქ, სადაც ტანჯვის თესლია განუეული, იქვე, იმავე ხნულზე მშუენიერება აიერის ტანს.

ჭამსუნის უფველი სტრაქონი, ცხადია, რომ ტანჯვის ზღვაშია ამოვლებული.

„არც მეტი და არც ნაკლები“, ეს ლაიტ-მოტივი იყო უფველ ჭეშმარიტ სელფანისთვის ძველ ჭეღადაში, და არ მგონია, რომ მოდერნულ დიტერატურაში თუ კიდევ იერს ისეთი მწერალი, რომელსაც ისე ჭქონდას შეგნებული ეს პრინციპი, როგორც ჭამსუნს, იგი ძუნწია სიტუვაში, მაგრამ უფველი მისი სიტუვა ახალი სხის ნაწილია უფველთვის.

ჩვენკანს—(ახალი მიწა**), ამბობს ავტორი, თითქმის შეუმჩნეველი ნაჭუჭი ჭქონდა ღოფაზე, მაგრამ როცა იცინოდა, ეს დიდებოდა — და ისეთ მშუენიერ იერს აძლევდა მისს სხესა, ამის მეტი არაფერია ნათქვამი და სურათი უმეტეს მზადაა.

ეს სხე შე კერძოდ არასოდეს დამაგიწოდებს.

ერთი სხე მატარა, უმნიშვნელ ნაჭუჭით, . . . ისეთი სხარტული სურათის დასასტავად ზოგერთებს მთელი ნაფეფარი დასკირდებათ ხალხზე სიტუვებისა.

„Keine Sachen weder zu viel, noch zu wenig zu—tun“.

ეს პრინციპი თუ ბერძენებს კარვად ესმოდათ, სავაიეროდ დღესაც განცვიფრებაში მოჭყავს პრაქსიტელეს მთელი მოსზროვნე კანობრიობა, აღამაზის გჟერა მთელ ოლიმპიურ ლეგენდებში მოთხრობილი ამბები—და გგონია, რომ იქ, ამ მადლიან მიწაზე მართლა დიუროთებს უცხოვრიათ, უქმნიათ უკვდავი ქმნილებანი და მერე მოსწყენიათ

*) ცნობილი ლექსია ჰომეროსი—სიკვილის წინა დღებში დაწერილი. კ. გ.

**) Les. Laok. 13 გვ. თიშერის გერმანულ თარგ. ლაიპც.

დგთაებრივ ოლიმპის მთა, თუ რაღაც დაუტოვე-
ბიათ, ეს დგითი კურთხეული მიწა, რომელიც
სხე უხვად აძლევდა ხელფანთ უკვლავ ქანდაკებ-
თათვის სკირო მარმარილოს.

ჯერ არც ერთ ხატის ისე ღრმად არ შეუ-
ცნობია ადამიანის ზღვა სულში დამარსული აღმ-
სები, როგორც ჭეღაღლეებს.

არც ერთ ხატის ისე გუნდრუკი არ უკმევია ჭეშ-
მარიტებისათვის, როგორც მათ, მათ, რომელთაც
მშვენიერება და დგთაება ინდენტურად ჭქონდათ
წარმოდგენილი.

იქ, სადაც ადამიანებს ტანისამოსის ჩაცმის
რცხენიდათ, იქ, სადაც მშვენიერ ტანის ზატ-
რის ძეგლს უგებდნენ იქ, სადაც ხელფან-
ის ნანთუნის ღმერთები და ადამიანები გაურთი-
ხებიან.

ეს მინდობი, როგორც ვთქვი, ჭამსუნსაც
შესისწლიორცებული აქვს.

აქ არის მასშტაბი, კრიტერიუმი ეოველი
დროის ხელფანისათვის.

საკვირველია სანდრო ეზბუკის გმირების
სიყვარული, რაღაც თაფისებურია.

არა ხატები საფარია ჭამსუნის გმირების
ტრფობა.

ჩვენს წინ დგას ნახ ვიქტორიას, ჯიუტ ედ-
ვარდის და ჟინიან ტრეზას სახეები.

განა ეს სისხლიანი ისტორია არაა სიყვარ-
ულისა, რომელსაც ავტორი სამართლიანად უწო-
დებს „სივიჟის ნაპერწკალს“, „სივიჟის ნაპერ-
წკალს“ სისხლში, რომელიც მეფის ამაუ თავს
მტკერს ახვეტაებს ქ ხრით და მოხუც ბერს
უსირცხვილო სიტყვებს ამერებინებს.

შენგან მეფე მონს ეუმოს“ იტოვდა ალექ-
სანდრე ჭეგჭეფაძე ამასე აღბაღ.

ჭამსუნისებურ სიყვარულზე დიდი ხანია ჩანც
დადოცვლილა ჭიანქმ სიქვა: „Ein Juglin liebt
em Madchen“ („უყვარს ჭამსუნს ქალწული, იმის
მეორე და სხვა“)

„ჭია, ჭია, რომ მარაღაც ეს უერთი ძეგლი
ამბავია და მუდამ ახლად დარჩება“.

და რა იყო სიყვარული, გრილი ჩივი, რომ-
ელიც ვარდებში ბუტბუტებს. არა, სიყვარული
სხვა იყო.

იგი დგთის მირველი სიტყვაა, —

და რქვა უფაღმა: „იოიავ ხათელი, და გზნ-
და სიყვარული“.

მაცრამ სიყვარული იგი მისი გმირებისათვის
„სადადობო“ გასართობი როდია: იგი გლანს
ეგას, ტკბილ მოტრფილუ ეგას სიღოცნელე
უზის.

განა სიყვარულმა არ ქნა ის, რომ ვიქტო-
რია დასწეულდა...

განა იმისთვის არ დაიღუპა ნორვეგიის ერთ
ზღვას შირა ქალაქში ნაღელი?

თვით გლანიც, ავანტიურისტი გლანი იმის-
თვის არ გაიქრა ღამი ტარეილაგით ინდოეთის
ტყეებში!

ეს რაღაც ზღაპარია, ჭეშმარიტად ზღაპა-
რი, რომელიც ვკერა.

ტარეილი თუ განდ საშუალო საუკუნის გმი-
რია, მაცრამ გლანი რამ შეშაღა — გლანი, რომე-
ლიც ჩვენს დრის ცხოვრობდა, ისეთ დრის, როცა
ადამიანებს „გულის ტვილი“ უფრო „კუჭის
ტვილი“ აწუხებს.

რა მშვენიერია, რა რომანტიულია!

ასეუ კითხულობ ამ სისხლით დაწერილ
სტრიქონებს, ამ ლეშეპარსულ, მაცრამ ჩემ ბრძო-
ლას ადამიანის გულსა და ჟინს შორის, ხედავ
ამ შირ გასისხლიანებულ ადამიანებს, რომელნიც
„კლავუნ იმას, ვინც თვითვე უყვარს“.

და გავიხატებთ უნებურად გიოთეს უკვლავ-
ვა ლექსი:

„Alles das Neigen
Von Herzen zu Herzen
Ach so viel eigen
Schaffet das Schmerzen“.

ქ. გამსახურდია

მიუნხენი, 2 ივლისი.

ომი და თანამედროვე ლიტერატურა

ამ რამდენიმე დღის წინედ ხარკოვის სალი-
ტერატურო-სამხატვრო წრის დარბაზში კარგად
ცნობილმა ლექტორმა ა. ა. სტანკევიჩმა წაიკით-
ხა ლექტია შემდეგ თემაზე: „მობილიზაცია
ლიტერატურისა“. ლექტორმა გაანბო საზოგა-
დოების თანამედროვე რუსული ლიტერატურა,
რამდენაღაც იგი არის გამოამსტველი ამ ომი-
ანობის ხანისა და რამდენაღ იგი აკმაყოფილებს
დღევანდელ მოახუნებლებს მკითხველი საზო-

გადგებისას. შემდეგ მაგალითად მოიყვანა ანტი-ბაშევის ზიესა „რამი“, ანდრეევისა „ჯანთნი, მუჟუ და თავისუფლება“ და მრავალი სხვა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს ნაწარმოებნი უფრო ფორტოგრაფიულია, სინემატოგრაფიული, ვიდრე მხატვრული ლიტერატურა. ეს ნაკლი ნაწარმოებთა მან მიაწერა მას, რომ ამის დაწვებამდის რუსის ლიტერატურა დაშორებული იყო თავის საშობლო ნიადაგს, რუსის მწერლები არ იცნობდნენ ხალხს, საშობლოს იმდენად, რამდენათაც დღეს საჭიროებამ დაგვანახა. მიუხედავად იმისა ლექტორი მაინც იმედის თვალთ უტყერის თანამედროვე ლიტერატურას. ამის მაგალითად მოიყვანა ალ. ტოლსტოი (რთხილბეობი ამის შესახებ), აკუნევი (რთხილბეობი „პოლიტიკა“), კუზმინი (რთხილბეობი „და სხვა. უგულა ამ მწერალთა ნაწარმოებნი უფრო რეალური არიან, თანამედროვენი; მათ ნაწარმოებში ხალხად გამოკრთის ხალხის სულის გვეთება: იმედი გამოარკვებისა, ვაჟ-კაცობა, სიფხიზლე, სიღინჯე და სინადისიერობა რუსის ხალხისა და სხვა. მაგრამ მაინც უკმაყოფილოა ლექტორი; იგი რუსულ ლიტერატურას მოსახიფტო უფრო მეტს და ამ სურვილს გამოსთქვამს ასე: „უნდა მოხდეს ლიტერატურის მობილიზაცია“. ლიტერატურამ უნდა შექცობოს თავისი ძალები, უფრო ხალხად უნდა გამოარკვიოს და დაგვისურათოს დღევანდელი მდგომარეობა.

სიტყვა „მობილიზაცია“ ლიტერატურისათვის მე მგონია ძალიან შაბლონური უნდა იყოს. შესაძლებელია მობილიზაცია სათა-

დარიგ. ჯანის-კაცებისა, მოღაშქრებისა, ცხენისებისა, მხოლოდ ლიტერატურისა კი... შირველი კაცობება. განა შესაძლებელია მობილიზაცია ლიტერატურისა? განა შესაძლებელია ლიტერატურის წყნარი და ნადიმი მუშაობა იმ დროს, როდესაც მთელ ევროპას ქარ-ცეცხლი მოსდებია, როდესაც ზარბაზნების გრიგალი, ჭეჭა-ქუხილ-ში ითვლება ცივილიზაცია, ხელაგება, იმსხურება და შირქვე ემსობა ხელაგების ნაშინი, ტაძრები (რეიშისა და სხვ.)? განა შეუძლიან ლიტერატურას ფესდაფეს მიიღოს დღევანდელ უბედურებისა?! ეს რომ ფორტოგრაფია იქნება. ლიტერატურა ეხლა ვერაფერს იტყვის, ვერაფერს ასწერ-განმარტავს. მხოლოდ როდესაც მოვა ხანი, გამოირკვევა დღევანდელი მდგომარეობა; შესწევდება ზარბაზნთა ჭეჭა-გრიგალი, როდესაც მწერალსაც ცოტათი მაინც შეუძლება თვალზე ცრემლი ნათესავების ამში დაღუბის შესახებ, როდესაც დღევანდელი უბედურება, ჭირ-ვარამი გახსნება მოგონების ნახ ბურუსში, აი მაშინ, მაშინ შეუძლიან ლიტერატურას მისცეს მკითხველ მასხას სერიალური, დინჯი, მხატვრული ნაწარმოები. თვით ალ. ტოლსტოიმ თავისი დიდებული ნაწარმოებნი დასწერა 50 წელს შემდეგ ამისა. ასე რომ არ არის გასაშტეუნარი ლიტერატურა, თუ თანამედროვე ცხოვრებიდან არ მოგვარდენს ნაწარმოებს, რაც შეუძლებელია და ამასე დაზარალები შედგებია. გავა ხანი და ლიტერატურაც მაშინ აღაზარალებს, აინთება...

მის. ლომიძე

ქ. ხარკოვი.



კლავუმი

გაივლის ჟამი, და ოდესმე ეგ სიტყვათ წყარო,
 მაგ შენ გულივით ცივ ქალაღზე ატრემლობული,
 სულ უნებურად მოგწყვეტს თვალებს, ჩემს დამწველ თვალებს,
 გეტყვის ჩემ წარსულს, მწარე წარსულს ხავს მოდებული.

და მეც ვნუგეშობ მხოლოდ იმით, რომ იმ წამს მაინც,
 შენ სულს აღაზნებს ფიქრი მწარე შეცოლებისა,
 იტყვი: „ვეუყვარდი უანგაროთ და სამარეში
 თან ჩაიტანა წყევლა-კრულვა შავის ბედისა“....

ცვარ-ნამი



უფ. უნტ. ოფ. შ. ბ. ჩხაიძე

ავსტრიის საზ. დაკრილი,
 საავადმყოფოში წევს. წარ.
 პოდპოლკოვნიკობასე.

კატოხიცილი

ზრუნვა,
ფუსფუსი,
შეება,
წვალემა,
სიტკბო,
სიმწარე
და მწუხარება
მიდის,—
უჩინრად
მიიპარება,
კვდება და
ჰკრება
როგორც
ზმანება...

გ. ქუჩიშვილი



პატრი ნიკოლა

თანამედროვე გიორგი მეფისა და მისივე დიდი მრჩეველი, მომხრე ქართველთ სამეფოს არსებობის; მეფეს აუწყა, მეფობა და ერი სხვათაგან დამონებული, ყოველთვის დევნულ-დაცინებული იქნებაო... რაკი გიორგი მეფე საქართველოს რუსეთს უერთებდა, ამიტომ მეფეს მოსცილდა და ქართველთ დარბაისელთ ურჩევდა ფრანგთა მსგავსად სარესპუბლიკო წესების შემოდებას საქართველოში. იგი იყო ღრმად მორწმუნე კათოლიკე, მაგრამ რაკი ქართველთ ცხოვრებაში ნახა ყოველივე დამზობილად, მერე რესპუბლიკის მხარეს გადავიდა.
(ზ. ჭიჭინაძის „ქართული სტამბის ისტორიიდან“)

ბელი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 42)

ოთარ. მოგეხსენება, დედოფალო, რუსთა იმპერატორის უმაღლესისა ბრძანებით, მეფე გიორგის ზავის შეკრულობის თანხმად, გიორგი დამტკიცებულ იქმნა საქართველოს ტახტზე და ძე მისი ბატონიშვილი დავით, მის კანონიერს მემკვიდრედ.

დარეჯან. ეგ ვიცი დიდი ხანია! შენ სხვა რამ სთქვი, სხვა ახალი რამ!.. გიორგის ძმები?

ოთარ. გიორგის ძმები არ დამორჩილდნენ მეფეს. ბატონიშვილმა ალექსანდრემ სპარსეთის შაჰი ბაბა-ხანის მხარი დაიჭირა და ახლა იმის ლაშქარში ბრძანდება, ერევნის ხანთან და საქართველოზე გამოლაშქრებას აპირობს. სხვა ძმანი, ბატონიშვილნი: იოანე, ბაგრატი, თეიმურაზი და იულონი, გიორგის ბრძანებით გაქვევებულ არიან და ალექსანდრესთან მიკედლებას აპირობენ და...

დარეჯან. ოჰ, რა დრო დაგვიდგა, რა დრო!.. უღალატებს ყველას იმათ ალექსანდრე და ბაბა ხანი დაახოცვინებს სუყველას!..

ოთარ. არა, დედოფალო! მაგას ვერ იხამს. ბაბა-ხანმა იცის, რომ აქ რუსთა ჯარი სდგას და რომ კიდევ ერთი პოლკიც გვემატება. იცის, რომ აქ რყოფება რუსთა რწმუნებული ვეზირი და ამიტომაც ბაბა-ხანმა თავისი ელჩი გაახლათ გიორგი მეფესთან, ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანი, შერიგებაზე მოსალაპარაკებლად. ხვალ ინახულებს გიორგი მეფე ელჩს, აქა, ამ დარბაზში, კოვალენსკის თანადასწრებით.

დარეჯან. გიორგი მეფე!.. ჰმ!.. იმისი ავადმყოფი სახე, მორჩილებისა და თავმდაბლობის გამომხატავი, უეცრად ისრე იცვალა, რომ ახლა დიდებულიობითა და შეურყვევლის ნება-ყოფლობით და ვაჟ-კაცურის გრძნობით გამოჰბრწყინვალეს! საიდან ეს?

ოთარ. რუსთა იმპერატორის ძალით, რომელშიაც გიორგი თავის სხნასა და განრინებასა ჰხედავს!

დარეჯან. მშობელი მამისა და მეფის წინაშე უპატივობასა და დალატობაშა დაბე-

ზღებულო, გიორგი ვერას გზით ვერ გაიმართლებდა თავს და რომ ჰნახა თავისი მოწინააღმდეგეთა მეცადინეობა, რომ სამეფო ტახტიდან მოეშორებინათ გიორგი—მოერიდა ყველას, ვითომც და გულ-გრილობა გამოიჩინა საერთო საქმეში, ღვთის-მოშიშობას მიეცა და ამითი სუყველას აუხვია თვალი, დააჯერა, ვითომც არა სწადდა რა და რაც რომ უფრო მეტად უნდა დაეშალა გულში თავისი შურის-ძიება და უფლებას მოყვარულობა, უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო იმისთვის ამისთანა თვალთ-მაქცობა, მტკიცე ხასიათი უნდა გამოეჩინა, უდრეკელი, რომ ბოლომდისინ გაეტანა თავისი მოლაღატობა—და გასტანა კიდევ!.. ცრუ, მატყუარა! რუსთა იმპერატორის წყლობით ჩვენ მეფედ ვახლა!.. მაგრამ დიდის ხნობით-კი?!

ოთარ. აგრე რადა ბრძანებ, დედოფალო?! გიორგი რომ გამეფდა, ეგ ხომ თვით ნეტარსენებული ერეკლე მეფის სურვილი იყო, რომელიც თავის წერილში თვითონვე აღიარა და...

დარეჯან. ცრუ! მატყუარა! მოლაღატე!.. განა გიორგიმ არ უღლატა თავის მამას, ერეკლე მეფეს, კრწანისის რეში? ფიცხელი და საშინელი შეტაკების დროს, გიორგი გამოვიდა ბრძოლიდან და თავისი მეომარნიც გამოიყვანა... ერეკლე კი იმის იმედით იყო, და ჩემი იულონი რომ არ ყოფილიყო, ერეკლე იქვე დაიღუპებოდა... აი, რა ჩაიდინა გიორგიმ!.. მოლაღატე, მშიშარა!.. მაშინ, ცოტა ვაწყდა არ დაიღუპა მთელი საქართველო, მშობელი—მამის ღალატით და ახლა... ახლა, რომ გამეფდა, ჩვენ სუყველას დაღუპვას გვიმზადებს, ქართლის რუთა ხელში გადაცემით! რისთვის უნდა რუსთა ხელმწიფეს ჩვენი ქართლი? როგორ და რაში გამოიყენებს?

ოთარ. დედოფალო! გიორგი ასრულებს ერეკლე მეფის აღთქმულს სურვილს. შენ თვითონ, დედოფალო, კარგად უწყი, რომ ერეკლე მეფეს უნდოდა რუსთა ხელმწიფესთან შეერთება, მაგრამ სიკვდილის მიხეზით ვერ მოესწრო იმ დროს, ახლა გიორგი ასრულებს იმ საქმეს, რომელსაც თვითონაც თანაუგრძნობს და ჩვენი წარჩინებული თავადობაც თა-

ნახმა არის; ხალხი კი ამაში თავის დახსნას მოელის. რუსნი ჩვენი თანამორწმუნენი არიან. რად გვინდა ჩვენ სპარსნი ან ოსმალნი? ისინი გამოგვაცლევინებენ ჩვენსა მართლმადიდებლობას, დაგვიტყვევენ ჩვენსა სამლოცველო ტაძართ-ეკლესიებს, რუსნი-კი, პირიქით, უფრო ხელს მოგვიწყობენ ჩვენს ქრისტეს სჯულში.

დარეჯან. ეგ მე არა მჯერა! გიორგი გვლუბავს ჩვენ ყველას და თვით საქართველოსაც დაჰლუბავს!

ბაგრატი. დედოფალო! ფრთხილად უნდა ბრძანდებოდე, თორემ შეიძლება გაგთქვენ და დაგაბეზლონ მეფესთან. შენ ხომ მოგვხსენება, რომ თვით გიორგი და იმისი მეუღლეც, მარიამ დედოფალი, შენი წინააღმდეგნი არიან!

დარეჯან. მარიამი რაღად არის ჩემი წინააღმდეგი?

ბაგრატი. იმიტომ არის, რომ შენ ითხოვე ყველასაგან, მარტო შენ გიხსენიონ ჩვენს დედოფლად და მარიამს-კი შენს რძლად უწოდონ!

დარეჯან. სწორედ აგრეც უნდა იყვეს!.. მე ვარ სრულის უფლებით მოსილი თქვენი დედოფალი და არა ის! ის მხოლოდ მეფის ცოლია, რომელიც ჩვენ სულ ყველა იმის ნათესავეებს მეფედ არ მიგვაჩნია. ლამაზი, ანჩხელი და კაპასი, როგორც უნდა ისრე ატრიანლებს თავის დასწეულგბულს ქმარს... მძულს მარიამი, მძულს!

ბაგრატი. ფრთხილად იყავ, დედოფალო.

III

ივანე და გიორგი მეფის ქეშიკი.
ქეშიკი (გამოდის გიორგის ოთახიდან. დედოფალს მძიმე საღამოს მთართმეფეს და ეტყვის ოთახს) მეფე გიბრძანებს, ბატონო ოთარ!

ოთარ. ახლავე! (დედოფალს) მამატივე, დედოფალო, უნდა გიახლოთ აქედან,—მეფემ თავისი ქეშიკი მომიგზავნა, მიხმობ! (ოთარი და ქეშიკი შეეჯებ გიორგის ოთახში).

IV

დარეჯანი, ბაგრატი და ქალთა ამაღა
დარეჯან (ოთახს უკმაყოფილოდ თვალს გააყოფებს) მეჯავრება მე ეს ოთარი! გიორგის დიდი ერთგულია და მგონია, რომ ორ-პირი უნდა იყვეს! (სიჩუმე) ბაგრატი! რას აპზობდი,

რომ ფრთხილად ვიყვე? რომ შეიძლება გამოთქვან და დამაბუხლონ?... შენ ხომ არ მიპირებ დაბეჭდვას? იქნება ოთარმა ანუ ამ ქალებმა გამოთქვან?... მე მაგისი არ მეშინიან! გიორგი შეიძლება მეფედ იყვეს ოთარისათვის, შენთვის და თვისი ლამაზი და კაბასი ცოლისათვის და არა ჩემთვის! გიორგი არის კრუ მეფე, კრუ-მოსახლე! საქართველოს ნამდვილ მეფედ უნდა იყვეს ბატონიშვილი იულონი და სხვა არავინ!

ბაგრატი. იქნება აგრეც იყვეს, დედოფალო, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავიფიცოთ, რომ ერეკლე მეფის ტახტზე გიორგი დამტკიცებულ არის რუსთა იმპერატორის პავლე პირველისაგან.

დარეჯან. დამტკიცებული! დამტკიცა იმიტომ, რომ გიორგიმ მოატყუა იმპერატორი და სულ ყველამ მოატყუა, რომ ჩემი იულონის სახელი დაუმაღლეს! მაგრამ ამას ჩვენ გავასწორებთ! (სიჩუმე) ბაგრატი! მე მჯერა შენი ერთგულება, თუმცა შენ გიორგის ცოლის, მარიამის, ბიძაშვილი ხარ, მაგრამ ვიცი, შენ ჭკვიანი კაცი ხარ და სამართლიანი, მაშინ ყური კარგათ დამიგდე, რასაც გეტყვი!

ბაგრატი. ჩემს ერთგულებაზედ ექვს ნუ დამწამებ, დედოფალო, და ნურც ჩემს სამართლიანობაზე, შენ შეგიძლიან მომანდო ყოველი საქმე, ოღონდ-კი ჩემთვის შესაძლებელი იყოს.

დარეჯან. შეუძლებელ საქმეს მე შენ არ მოგანდობ! ოთარმა ახლა მომახსენა, რომ ყველა ჩემი ელჩი, სულთანთან წარგზავნილი, მეტეხის ციხეში პატიმარს არიან. ბაგრატი! გაანთავისუფლე ისინი უეჭველად და როცა თავისუფალს იქმნებიან, ჯილდოდ გიბოძებ ყველა იმას, რასაც კი მოისურვებ! დაეხსენი, წავიდნენ თავიანთ გზით, დაეხსენ შენს რეალონ ჩემი მინდობილი საქმე. დამით, მალულად, წავიდეს ზოგი კახეთს, ზოგი ქართლს, იქაურს თავადებთან, რომ ჩემი იულონი გამოაცხადონ მეფედ და ხალხიც დააფიცონ იმის ერთგულებაზედ. ამნაირად ისინი გიორგის ჩამოაყენებენ ტახტიდან, რომელზედაც ყოფნის ნება გიორგის არა აქვს, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ.. იულონი, როგორც მე, რუსების

წინააღმდეგია. ჩვენ რუსნი არ გვინდა; ჩვენთვის სულთანს არის საჭირო.

ბაგრატი. ახლა მაგისი შესრულება არ შეიძლება, დედოფალო!

დარეჯან. რატომ მერე? ამ უკანასკნელ დროს, ხომ დავითიც, ეს ახლად გამოძევებული მემკვიდრე გიორგისა, რუსთა მოწინააღმდეგე გახდა. შენ განა არ იცი, რომ დავითი კოვალენსკიზე და ლაზარევიზე დიდად უკმაყოფილოა, რომ სამეფო საქმეების გამგებლობაში წილს არ უღებენ. გიორგის სწეულობისა გამო, დავითმა ახლაც მოიწადინა ტახტზედ აბრძანება და აწ ცდილობს რითიმე აგნოს რუსებსა და იმ ქართველთაც, ვინც გიორგის მომხრე არიან.

ბაგრატი. რასაც შენა ბრძანებ, დედოფალო, ახლა მაგისი შესრულება შეუძლებელია იმიტომ, რომ შენ ცდილობ თავდაზნაურთა აჯანყებას გიორგის საწინააღმდეგოდ და ხალხის ამბოხებასაც. ეს იცის თვით მეფემაც და რუსთა ვეზირმაც და იმათ ყოველი ზომა მიიღეს, რომ ჩაშალონ შენი წადილი. დავითი რომ რუსთა წინააღმდეგი გახდა—ახლა იმას სრულებით აღარა შეუძლიან-რა. დიდის სიფრთხილით ადევნებენ თვალყურს. გიორგი მეტად გამწყრალია დავითზე, რომ ტახტზედ აბრძანებას ახლაც სცილობენ, მამის სიცოცხლეშივე; ისრე გამწყრალია, რომ სამეფო საქმეებზედ აღარც-კი ელაპარაკება.

დარეჯან. ჰმ!.. მე კი იმედი მქონდა, რომ ჩემს საქმეში გამოამდგებოდი?!... ჰმ!... როგორ მოვსტყუვდი!..

ბაგრატი. მე თუ აღვარულე შენი ბრძანება, წამსვე თავს მომკვებენ, ამისი ღირსი თუ გაეხდი როდისმე, მაგრამ ამას-კი მოგახსენებ გულ-ახლით, დედოფალო, რომ რუსეთთან შეერთებით ჩვენ ყველას უკეთესი ბედი მოგველის, უუმჯობესი, ვიდრე სულთანის კალთის ქვეშ ყოფნით. მე მაშინ ვიქნებოდი... მაგრამ, ნება მიბოძე, დედოფალო, ვითხოვ, ოსმალეთზე რად მიგიწევს აგრე გული და არა რუსეთზე?

დარეჯან. (უნდაბლად შესტკჳრის) რადა?... ოსმალეთი რუსეთზედ უფრო ახლოა. ოსმალთ სულთანს ბევრჯელ დაუხსნია საქარ-

თველო სპარსთა ჯარებისაგან, ოსთა და ლეკთა შემოსევისაგან და კიდევ სხვა მრავალი გარეშე მტრისაგანაც. გაჭირების დროს ოსმალთ ჯარებს შეუძლიანთ სამ დღეზე შემოსვლა საქართველოში, ახალციხისა თუ ქობულეთის მხრიდან და რუსთა ჯარსკი დასტირდება სიარული მთელი ერთი თვე და კიდევაც მეტი, სიშორისა გამო და ამიტომაც...

კ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)

ვერცხლის ფული

(იმერული სცენა)

ღმერთმა დაგიფარო ახლანდელ დროში თბილის ქალაქში წასვლისაგან! არ გაგიწყრეთ ღმერთი და არევიან გაბედოთ იქ წასვლა აწი. თუ არ დეიჯერებთ და მოგიყვებით რაცხა ამბავი დამემართა თბილის ქალაქში ჩასვლისას.

„სინოდსკი კანტორაში“ საქმე მქონდა პაწია... გამევიტანე „კასიდან“ მამა-სისხლად შეგროვილი ათი თუმანი. მისთანა ახალი ქაღალდის მანათიანები ქე მომცეს რომე სულ სლიკი-სლიკინი გაჰქონდა ხელში. ჩავჯექი მატარებელში და ჩევედი თბილისს. შეგვჯექი ტრამვაიზე. ჩამეიარა „კანისტორმა“ და „ვიღე ბილეთით“ — მითხრა. ამევიღე ქაღალდის მანათიანი და გოუწოდე. გოუწოდეთო!.. დაბარიალა თვალები; დაკრიჰა კბ-ლები, მსტაცა ხელი და შიგ შუა გულ ქუჩაში გამადენია რეხვა.

შემარცხვინა კაკალი კაცი!

ამ დროს ქეც მომშვიდა და წევედი იქვე ახლო „სტალავოისკენა“. დამიხვდა. კარებში ვინცხა კაცი და მითხრა:

— თუ ქაღალდის ფული გაქ და ვერცხლისა არა, გირჩევენია აქ არ შამოხვიდეო.

იმე! გაგბრაზდი მარა რავარი.

— შე ამოსადებო, ვის გოუგონია, რომ რუსის სახელმწიფოში რუსული ფული არ გადიოდეს — თქვა. ამ სიტყვებზე იმნ სიცილი დაიწყო... კეფაში მამადგა სისხლი სიბრაზით... ვსტაცე ხელი ჩასუქებულ კისერში,

ამევიღე ქეც, დავაჯექი ზევიდან, ვბრიგე და ვბრიგე.

გაჩნდა ყვირილი, „სვისტოკების“ ფუტყენა, ცემა-ტყევა. მოვარდა „აკალოჩიკი“ და „გარადოი“, მსტაცეს ხელი და გამაქანეს ვირის აბანოსკენ.

რაღა ვქნა ახლა!.. ჩავარდი მწარე ფიქრებში. ბოლოს საფულედან ამოვაყოფიე თავი წითელ თუმინს და დავანახვე „აკალოჩიკს“. ისთე გამომაცალა ხელში, რომე არც-კი გამიგია. მე შენ გეტყვი დეიწუნა თუ?!

გამიშვეს თუ არა „გარადოებმა“ და — ვლურთე „სტანციისაკენ“, ჩავჯექი მატარებელში და წამევედი სოფლისკენ...

ბოშო, ამის შემდეგ რაღა გამარონიებს თბილისში?!

გუგული

სამ პოლნაშისა

ქართ. კულტ. მოყუ. საზოგადოების წარსულ კრებაზე 15/X ბეგრი ილანარაკეს ჩეგნი თეატრის დეკანდელ უნუგუშო მდგომარეობის შესახებ... ბეგრნ კარგი აზრი გამოითქვა; ბეგრიც მიუწდომელი იდეალი დაისახა, ეკელა, რასაკვირველია, ქართულ თეატრის საკეთილდღეოდ.

გვიუგანს ოცნება, დღეს, რეალურ ხანაში, დეგნა შორეულ ღანდის...

ბ-ნმა ახმეტელაშვილმა რა მოხსენება წამკითხა, ეგ უნდა ეთელიყო წარმთქმული მამის, რადეკსაც ეუგელაფრით მომზადებულნი შევკრებოდიო...

დღეს კი...

დღეს ჩეგნ, მანარდი თათბა ვნატრობთ ქართულ თეატრს, რამელმაც სკოლასთან ერთად უნდა გვანაზრდოვოს და ადვოზარდოს მშობლიურ ნიადაგზე; დღეს ჩეგნ ვნატრობთ ქართულ წარმოდგენას. ქართულ სიტუკას, მშობლიურ სტენიდან გამომდინარე; დღეს ჩეგნ თეატრი არ გვაქვს, რამ ვიარათ წარმოდგენებზე, სადაც აგვამდლებს ხიმშიაშვილის და ლეანაძის სულის ძლიერება, სადა დავგაფიქრებს ზეინახის დაჭრალი კენესა, სადაც ვიწამებთ „სინათლით“ აციაგებულ ათანადილის მისწრაფებას...

არა გვაქვს თეატრი დღეს... და თქვენ კი მომავალ რელიგიურ ტაძრის ანქიტექტურასე ვბნასობთ...

მართალია, კარგია რეინჰარდზე ლანანაკი, წარმტაცის გეორგ ფუქსეს მოქმედება. ყველა ეს ჩვენ მოგვიხდება, ჩვენ—ნიჭით ცხებულ აფერცილებს...

მკრამ ახლა-გი ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ დღეს ოთხი კედელი ჰარა გვაქვს, ოთხი სადა კედელი, სადაც გაწმართავდით ქართულ წარმოდგენას და არ გავგვზავნიდით ჩვენ რუსულ თეატრებსა და სინემატოგრაფებში.

თეატრის აშენებას 15 წელი მოუწდება და... ჩვენ რა ასე შევხერდეთ, სანამ მთელი ის ახალგაზდობა, რომელმაც უნდა შექმნას ის მამაკალი რელიგიური ტაძარი, გადაგვარების გზას დაადგება და შემდეგ იმ მშვენიერ ტაძარში, ფუქსეს და რეინჰარდის უფავილებით მართულ საკურთხეველში, ვის აღტყობთ?!

ჩვენ, მლოცველნი—გემუდარებით თქვენ,—ქურუმნო, გავგიღეთ ტაძარი და სანამ ლაბარინტებს აღაშენებდეთ—ქახში გვალტყოთ, რათა არ შესწოდეს ძაფი დაღაღებისა...

გოგლა ლეონი

ღ ი ქ ც ი ა

გ ა მ ო თ ქ მ ა

(გაგროვდება. № იხ. „თ. და ც.“ 42)

ცოტა ქვემოთ ვაითხუდობთ:

ერთ მარცვლთან სიტყვაში, რაღა თქმა უნდა, მახვილი იმავე მარცვალზე ისმის: მარცვლთან სიტყვაში—ბოლოდან შეორე მარცვალზე, ე. ი. თავიდან შირველზე; ხალა სამ და შეტ-მარცვლთან სიტყვაში ბოლოდანვე შესამე მარცვალზე.

აი მაგალითები: 1) ხ, ქვა, თხა, თმა, თქვა; 2) ცი-ხე, მი-წა, შა-ვი. 3) მა-მუ-ლა, წი-თე-ლი. 4) მა-ცხო-ვა რი; 5) გა-და-კეთე-ბა.

ანსებითად ქართული მახვილი მოძრაიია. მართალია, სიტყვის მარცვალთა შარას მას განსაზღვრული ალაკი აქვს მიხენილი, მაგრამ ეს განსაზღვრულობა მარცვლის „მუკამდენობას“ შეეხება და არა ფუნქციურ შენადგენობას. ამიტომ საკმაოა სიტყვის ბოლოსკენ მარცვალთა რაოდენობა იცვალთ და მახვილიც ამოძრავდება. აი მაგალითები:

მა-მუ-ლა — — მა-მუ-ლი-სა
გა-მო-მ-ხსნე-ლი — გა-მო-მხსნე-ლი-სა.
მი-წა — — — მი-წი-სა-სა.
ხე — — — ხე-ე-ბი-სა.

ესევე მოხდება, თუ სიტყვას ახალი მარცვლები თავისკენ მიემართა. მაგალითად:

ყო-ლა — — წა-ყო-ლა
მო-სვლა — — გა-მო-სვლა.

ქართული მახვილის შეორე თავისება შემდეგია: ქართული მახვილი არსებითად „ლაქტილურია“ ე. ი. სიტყვის ბოლოდან მუდამ შესამე მარცვლისკენ მიისწრაფის. სწორედ ამით ახსენება ის გარემოება, რომ ერთ და მრ-მარცვლთა სიტყვების მიმობრუნვის დროს მახვილი მხოლოდ მამის ამოძრავდება ხოლმე, როცა მიმობრუნებულ სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა სამს გადააჭარბებს; განამ-გი მახვილი იმავე მარცვალზე რჩება, რომელზედაც იჭდა, როცა სიტყვას სხელობითი ბრუნვით იყო წარმოდგენილი. აი მაგალითები:

- 1) ხე; ხე-სა; ხე-ნი; ხე-ე-ბი; ხე-ე-ბი-სა.
- 2) ხე-ე-ბი-სა; ხე-ე-ბი-სა-სა.

შორველ სტრიქონში მახვილი უძრავათ სის მარცვალზე „ხე“, რადგან იქ მარცვალთა რაოდენობა სამზე მეტი არაა; შეორე სტრიქონში-მახვილი ამოძრავებულა (ე, ბი), რადგან აქ მარცვალთა რიცხვი სამზე მეტია.

ამავე წესით ამოძრავს მახვილი, როცა მარტივი სიტყვები ერთმანეთს უერთდება და ახლს, რთულს სიტყვას იძლევა: აქაც მახვილი ბოლოდან შესამე მარცვალს იჭერს. აი მაგალითები:

მარტივი სიტყვები: რთული სიტყვები:
ღეღა-მამა — — ღეღ მამა
ღეღა-მიწა — — ღეღა-მიწა
მტერი-მოყვარე — მტერი-მოყვარე
ბელი-იღბალი — ბედ-იღბლიანი
წერა, კითხვა — წერა-კითხვა.

ქართული მახვილის ამ ორ თავისებასთან მკიდრად შეკავშირებულა მისი შესამე თავისება. სახელდობრ, ცოცხალ საუბარში, როცა სიტყვები ერთმანეთს სხვა და სხვა სინტაქსიური წესით უერთდება, მახვილი ერთგვარ შემკავშირებულ ძალად ხდება, საკომინანტო დასაბამად იქცევა: რამდენსამე შეზობულ სიტყვას ერთ ზღუფად უერთს თავს და მთელს ამ სინტაქსიურს

ჯგუფში თვითონ ბოლოდან შესამე მარცვალზე ბინაფდება. ეს სინტაქსიური ჯგუფი ამ შემთხვევაში თითქოს ერთს სიტუვას წარმოადგენს.

მასვიდის ამ თვისების ძალით სინტაქსიურ ჯგუფებად, ჩვეულებრივ, სიტუვისა და წინადადების შემდეგი ნაწილები ერთდება:

I. თანდებული და ის სიტუვა, რომელსაც იგი ეკუთვნის; მაგალითად:

ქვიყანა-ზე და არა ქვეყნა ზე
მთებისა-კენ " " მთებისა-კენ
ცათა-შინა " " ცათა შინა

II. გერეთ წოდებული შედგენილი შემასხე-
ნელი, ე. ი. რომელიმე სახელი და შემწვობი-
თი ზმნა:

კეთილი-ა და არა კეთილი-ა
ნეტარ-არიან " " ნეტარ არიან.
რომელი-ხარ " " რომელი ხარ.

III. მარტივი შემასხეული (ზმნა) და მისი
დამატება ან გარემოებითი სიტუვა:

რა-ვიცი და არა რა ვიცი
არა-ვიცი-რა " " არა ვიცი რა
როგორ სწავლობს " " როგორ სწავლობს
საიდან-მოხვალ " " საიდან მოხვალ

IV. სახდურული სიტუვა და მისი განსაზღ-
ვრება:

მამა ჩემი და არა მამა ჩემი.
შავი-მიწა " " შავი მიწა
მიწის მუშა " " მიწის მუშა.

V ძლიერ ხშირად კავშირით ლა-თი შექრ-
თებული სიტუვები:

ქალი-და-კაცი და არა ქალი და კაცი
ცა-და-ქვეყანა " " ცა და ქვეყანა.
ვიმეორებთ, კარგი იქნება ეს წერილები
(ს. გორგაძის „ქართული წეობილსიტუვათა“) ეურადლებით წაიკითხოს მკითხველმა. ჩვენ ის ამოვწერეთ, რაც უფრო საჭიროდ მგვანხნდა.

გიორგი ჯაბადარი
(გაგრძელება იქნება)

ქართული სახიობა

საბურობალს აუღიომრიაში კვირას, 18/X, წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის „გამცემა“. პიესას მომზადება აკლდა, რის გამოც სუსტად ჩაიარა: ზოგმა მონაწილემ თუ როლი არ იცოდა, ზოგი შეუფერებე-

ლიც იყო: სასურველია, სცენის მოყვარენი და რეჟისო-
რი ან თავის ძალია შესაფერ პიესას აირჩევდენ, ან უკეთეს ძალით მიიწვევდენ ხოლმე.

დარბაზში წეს-რიგის დაცვაზე გამგეობა ამ დღეს გაცილებით მეტს ზრუნ ვდა, მაგრამ ანტრაქტების დროს წესიერება მაინც ირღვეოდა და უმთავრესად იმიტომ, რომ ანტრაქტებს მეტად აკიანურებდენ.

კარგი იქმნება. ხანდისხან მაინც, წარმოდგენის დაწყებამდე ხალხს ვააცნობდენ თეატრის მნიშვნელო-
ბას და როდესაც ეს ყველა დამსწრეთაგანს რაოდენათ-
მე შეგნებული იქნება, წეს-რიგს თითონვე დაიცავს.

მოკარნახის ხმა დარბაზში მკაფიოდ ისმოდა. მი-
სი საბუდარი შეგნიდან რომ გაიტყობოდადეს და მო-
ნაწილენიც კარგად დაისწავლიდენ როლებს, ასე არ იქნება.

ხალხი ბლომად დაესწრო. უნდა იღონონ რამე, რომ წარმოდგენა ადრე გათავდეს, საკიროა დროით დაწყება და ანტრაქტების შემცირება.

ლარაძე

დ. ხაშურიში აღგილობრივმა დრ. წრ. გამგეო-
ბამ 11/X წარმოადგინა „და-ძმა“. ბ-ნ ალ. ქუთათე-
ლასეს ეტყობოდა მეცადინეობა, მაგრამ მაინც მან გა-
იოზის სულის კვეთება ვერ დაგვიხატა. გვარიანი იყო
მეხუთე მოქმედებაში (ციხეში). მარინეს როლს ასრუ-
ლებდა ქ-ნი ნ. ხოზბერაშვილი, რომელიც პირველად
გამოვიდა სცენაზე და ამიტომაც იყო, რომ ვერ სძლია
ეს ძნელი როლი. ადამიას როლი ვ. ხოზბერაშვილმა
რიგიანად შესარულა, მაგრამ ლაპარაკში სიმღერის
ელფერი დაჭრავდა. ოტიას როლი საუცხოვოთ შესა-
რულა ბ-მა ალ. კორძაძემ. ეს ნიჭიერი სცენის მოყვა-
რე ყველა ნაკისრ როლს ღირსეულად ასრულებს.
შესაფერისნი და მოხდენილნი იყვნენ ბ-ნი დედარაიანი
(ფაშა-გფენდი) და ძნელაძე (გიორგი). უფერული იყო
ქ-ნი რჩეულოვისა (გადია). წარმოდგენა სიმღერებმა
გამოაცოცხლა. სამწუხაროდ, მოკარნახის ხმა უკანა
რიგებშიაც ისმოდა.

წარმოდგენას ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო,
ალბად ფასების სიძვირის გამო (უკანასკნელი 13 რიგი
50 კაპ. ლირდა).

კაკალო

ნაძალადების თეატრში შაბათს, 17/X, ა. გო-
გაშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს „და-ძმა“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა, ხალხი ბლომად დაე-
სწრო.

დამსწრე.

ბაჰოს დრამ. წრემ კვირას, 11/X, ვ. შალიკა-
შვილის რეჟისორობით წარმოადგინა „პედაგოგები
ან ბრძოლა უმეცრებასთან“, 3 მოქმ. თარგმ. დ. ნა-
ხუტრიშვილისა. ბაჰოს სცენის სიღარიბე აშკარად ეტ-
ყობოდა ამ პიესას. წარმოდგენას აკლდა აღფრთოვანება,
მთლიანობა. პროფ. დე-პრელის როლს თვითონ ბ-ნი
შალიკაშვილი ასრულებდა, რომელმაც თავისი გამო-
ცდილი თამაშით სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა.
ბ. ანობაძე (ფლაქსმან) მონდომებულად ასრულებდა

როლს, მაგრამ ბუნებრივობა აკლდა. კარგება იყენენ ქ-ნი: ქილარჯიშვილი (გიზა) და შულუკიძისა (შტურნან). ბ. მატარაძე (ფლემინგ) მოისუსტებდა, როლის უცოდნარობით. ბ.ბ. მეფისაშვილს რიზან) და ბოხუას (ფოჭღვანგ) უხერხულად ეჭირათ თავი. ბ. ქარქაშიძე (ნეჭენაძე), ბ. პავლიაშვილი (დირკს), ბ. ჯიქია (რემერ) და ბ. ვეკორი (ბაუმ) ანხაბლს ზელს უწყობდენ.

საერთოდ პიესას ნაჩქარეობა ეტყობოდა და ალბათ ის იყო მიზეზი, რომ ხუსტათ ჩაარა. ბოლოს წარმოადგინეს დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, რომელმაც ბევრი აცინა მრავალ-რიცხოვანი საზოგადოება.

ბაქოს დრამატიკულ წრეს განუზრახავს თევში ორჯულ (შაბათ საღამომით) ბალახანაშიაქ მართოს ქართული წარმოდგენები, რაც ფრიად სასიამოვნო მოვლენად ჩაითვლება. პირველად წარმოდგენილ იქნება „ქრისტინე“, შემდეგ „მორევი“ და სხვ.

იო-ბი

კამკაშის ქართ. სკოლის შენობაში 27/IX შესდგა აქაურ სცენის მოყვარეთა კრება, ხალხის თანადსწრებით, ბ-ნ მ. შალამბერიძის თავმჯდომარეობით. კრებამ ერთმად დაადგინა წარმოდგენე ის გამართვა, აარჩია გამგეობა—ბ.ბ. ა. პიტანი, გ. მიქაბერიძე და მ. შალამბერიძე; რეჟისორად—ბ-ნი ბალაშვილი, მის თანაშემწედ ბ-ნი ვ. კუმისიშვილი.

სეზონი დაიწყო „პეპო“-თი საზოგადოება მოუთმენლად მიუღოდა პირველ წარმოდგენას და სიხარულით მიდიოდა წარმოდგენაზე, მაგრამ იმედები გაუცრუვდა: პიესა მიუშნადებელი იყო. ამას ზედ დარტო წარმოდგენის დაწყებამდე ორი მანდილანის ჩუბი, რომელმაც კუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ვისურვით, უკეთეს პირობებში ემართოს წარმოდგენები გამგეობასა და უკეთესადაც მომზადებული.

გ. ხო-ლი

გორჯოში ქართულმა სცენის-მოყვარეთა წრემ გადასწყვიტა დროგამოშვებით გამართოს საზალხო, იაფ-ფასიანი წარმოდგენები. ამით წრეს ჰსურს მისცეს მღაბით ხალხს საშუალება თეატრში სიარულისა. ამისთვის შემუშავებული იქნება საგანგებო რეპერტუარი, საამღროვო შინაარსიანი პიესებით.

ეს ერთად-ერთი საქმე და სასწარია, რომლის საშუალებითაც შეიძლება აქაური ხელ-მოკლე და შდაბო ხალხის გამოფხიზლება, გათვითცნობიერება და თვით შეგნების გზაზე დაყენება აქაური ქართველობა შეტად დაქსასულია; არ არსებობს მათ შორის არავითარი კავშირი, ერთობა; არ ზრუნავენ საზოგადო, საერთო საქმისათვის, რაც ჩვენ ყველაზედ უფრო, დღეს გვესაჭ რეობა, და თავდავიწყებით მისცემიან ერთი-მეორის ქიშპობასა და დაჯაბნებას. აქ არ არსებობს არავითარი ქართული დაწყებულება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამკითხვე-

ლოს, რომელსაც რაღაც მიზეზით ხალხი ნაღებდად ეტანება), სადაც შეეძლოთ აქაურებს თავის შეყრა, ერთმანეთის ნახვა, ავ-კარგის გაზიარება; არ იმართება ლექციები და სსვა და სს. ამიტომ ზემოხსენებული განზრახვა „წრისა“ შეტად სიმპატიური და დიადი საქმეა: სახალხო წარმოდგენებზე ყველას საშუალება ეძლევა დაესწროს; აქ შეიყრის თავს ქართველი ხალხი. შეეჩვევა და შეეთვიება ერთმანთს; გაიზიარებენ ერთმეორის აზრებს და დაქსასებასა და ქიშპობის ნაცვლად ძმურად ხელს გაუწოდებენ ერთმანეთს. სწორედ ამიტომ საქირია, „ბორჯომის შეგნებული პირები ჩაუდგნენ ამ საქმეს სათავეში, გაუწიონ ყოველგვარი დახმარება სცენის მოყვარეთ და მისცენ საშუალება, ეს ახალი პატარა საქმე დიდ საქმედ აქციონ.

პირველი სახალხო, იაფ-ფასიანი წარმოდგენა გამართა 18 ლვინობისთვის.

დ-მ

წვრილი აგბები

ძარბ. დარბ. დანი თბილისში უკვე შესდგა და მალე წარმოდგენებასაც დაიწყებს, თუ სახალხო საზ-მა თვეში ოთხი დღე მიანიც დაუთმო.

➤ **სიღნაღში შესდგა** სცენის მოყვარეთა წრე, შეაღწინა წესდება და სათანადო ადგილს წარადგინა დასამტკიცებლად. წრეს განუზრახავს წარმოდგენები ჰმართოს ადგილობრივ და ახლო-მახლო სოფლებში.

➤ **ნინო ჟიფიანისა და დიმი ჟიფიანის** ხელთ-ნაწერებიდამ ამოაარჩია ფრიად ძვირფასი ავტობიოგრაფიული ნაწერი დ. ი. ყიფიანისა, რუსულ ენაზე, „წერთა სულისა“ (душа моя), რომლის თარგმანაც გადასწყვიტა უურ. „ახალ მოამბეში“ მისათავსებლად.

➤ „**კაცი ადამიანი**“?! ი. კვკვაფიძის სტუდ. აღ. გვეტაძემ გადააკეთა 4 მოქ. და 8 სურ. პიესად.

ახალი კივისა „გვა“ სანდრო გურულისა საკენზურო კომიტეტს წარედგინა ნებართვის ასაღებად.

➤ **ჟიფიანში** მოკლე ხანში მოხდება სცენის მოყვარეთა კრება ამ ზამთარს წარმოდგენების მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

➤ **საბურთალოს დარბ. წარბ.** აირჩია კომისია (კნ. ა. ა. მაჩაბლისა, კ. მაყაშვილი, პ. ირეთელი, ვ. მატარაძე, პ. ხეთაგიწვილი, პ. გოთუ, ი. ზურაბიშვილი და კ. ბაღრაძე) სათეატრო შენობის აგებაზე საზრუნავად.

➤ **მგობან კ. მაჭაჟვილის** დრამ. პოემა „ემ-მაკი საქართველოში“ მოკლე ხ-ნში ცალკე წიგნად დაიბეჭდება.

➤ **ახალი რუსული გაზეთის** ნებართვა მიეცა ივანე იობის ძე იმედაშვილს.

➤ **ნ. თავდგირიძე** სოხუმის მოურავად დაამტკიცეს

◆ ილ. ზავზავაძის სრლამო მუთისში გამართება 27/X ნ. ერისთავისა, მექიანურე ვოლფ-იზრავლის, კ. ფოცხვერაშვილისა და სხ. მონაწილეობით.

◆ მოსწავლეთა ღრამ. წრე შეადგინა ქუთაისის ქართ. გიმნაზიის მასწავ. აკაკი ფალავამ.

◆ მუთისის ღრამ. საზ-ის გამგეობამ აირჩია სარედაქციო კომისია წარმოსადგენ პიესების ენის შესასწორებლად.

◆ ზაზა-ფშაველას სრლამოს ჰმართავს ხარუფის კლუბი ივ. გომართელის მონაწილეობით. შემოსავალი გადაეცემა ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ამშენებელ კომისიას

◆ ხარუფის კლუბის ახალ სცენაზე სეზონი დაიწყება ქართული წარმოდგენით. შემდეგ ყოველ ოთხშაბათობით გაიმართება ქართ. წარმოდგენები.

◆ ქართული საგველეხობის საზოგადოების კრება. პ. ა. გულარს თავმჯდომარეობით შესდგა ან. კლ. დარბაზში 18/X. თბილისში ჰყოლია 296 წევრი, საქართველოში—7 განყოფილება. 1 იანვრიდან დღემდე შეუტრიალებია 40,000 მან. ნაღდთა აქვს 11,000 მ. საზ-ის მდივანმა პ. საყვარელიძემ კრებას გააქნა ქართვ. მაჰმადიანთა ვითარება დ ხარალებულ ქართველთათვის და ქართველ მაჰმადიანთათვის საზოგადოების გამგეობას შემწეობა აღმოუჩენია სურსათით თუ სხვაფორივ. საზ-ის დიდი ზნეობრივი გავლენა და იურიდიული უფლება ც მოუპოვებია. თვით მთავრობისაგან ეს საზოგადოება აღიარებულ იქმნა და ხარალებულ ქართველი ხალხის ბედ-იბდლის გამგედ. ამ საზოგადოებაში თავს იყრის ყოველი წოდების და კუთხის ქართველი და ერთიმეორეს ეკავშარება. საზოგადოება წევრად ჩაწერა ქართ. კულტ. საზოგადოებათა კავშირში და თვის მხრით აირჩია ი. ა. ბარ.თაშვილი, ფ. შ. გვგინაიშვილი და პ. ა. გოთუა. სარევიზიო კომისის წევრებად: გ. ბ. გვაზავა, გ. მ. ლასხიშვილი და გ. ცინცაძე.

◆ მ. შამაგიაშვილის ასულმა გაათავა თბილისის სამუსიკო სასწავლებელი, ამ მოკლე ხანში კონცერტს გამართავს და უმაღლეს სამ. სასწ. წავა.

◆ ლანჩუთის ღრამ. საზ-ის წესდება დაამტკიცა ქუთაისის გუბერნატორმა. საზოგადოება დაიწყებს წარმოდგენების მართვას.

◆ ქართული მართლწერის შესახებ ს. გორგაძემ 21/X მოხსენება წაიკითხა საქარ საისტ. საეონ. საზ-ის კრებაზე. სასურველია დაიბეჭდოს.

◆ ს. შირცხალავა თავის ლექციას: „სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“ წაიკითხავს კვირას, 25/X ესიკოვის ცირკში, ვერის დაღმართზე, 11 1/2 ს. ქართ. საქ. საზ-ის სასარგებლოდ.

ფო ს ტ ა

მუთისი. Lami-ის: დღემდე არაფერი მაგვიღია „ქუთაისის ღრამის“ წარმოდგენების შესახებ. ველით.

რედაქტორ გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ხარუფის საზ. კლუბი მიხეილის პრ. № 131

ერთი კვირის პროგ. 24 დღინ. 1- გიორგ-დგ შაბათს { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
კვირა { პრესმანის ლოტბარობით,
ორ შაბ. სინემატოგრაფი
სამ შაბ. სიმებიანი ორკესტრი
ოთხ შაბ. სინემატოგრაფი
ხუთ შაბ. სიმებიანი ორკესტრი
პარასკევს. საზანდარი, სინემატოგრაფი
შაბათი { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
კვირა { პრესმანის ლოტბარობით
შესავალი ფასი: მამაკაცი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი სრლამოს 8 1/2 საათზე.



პროგ. პ. ს. ანგულიანის. ანგულიანის პრ. კუთხე. ანგულიანის ქ. და გოლოვინის პრ. კუთხე.

სფ. ქართ. ფილარ. საზ.

სამუსიკო სკოლა, სლავოვკის ქ. ჯმლნი-ცკის საზ. № 4. მოწავთა მიღება 10—2 ს. -მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტებ. 70 მ. წელიწადში, სკრიპკა 75 მ., ვიოლონელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ სიმღერა 100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი ნახევარ წლით წინდაწინ.

ნომრები „ბერძნული“

ახლად შეკეთებულ, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძველთან. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სმაზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და ანნა). თბილისი, მიხეილის პრ. № 13. ტელეფ. 13—14 (წ)